კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის განმარტებიტი ბარათი.

ვინაიდან ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ შეთანხმდა ქალაქ თბილისის საკრებულო 2007 წლის 29 ივნის N 7 - 41 გადაწყვეტილებით, 2006 წლის 26 ივნისის ქ. თბილისის მერიის #109 განკარგულება არ ექვედებარება ზემოაღნიშნული სპეციალური მოსაკრებლის გადახდის საფუძველს, საკრებულოს განკარგულება არ არსებობდა 2006 წელს.

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 109

„ 26 „ ივნისი 2006 წ.

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში უნივერსიტეტის ქუჩაზე (ფიზიკის ინსტიტუტსა და საბურთალოს ახალ პანთეონს შორის) ნაკვეთი №5, №6 და №7-სათვის განაშენიანების (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) განსაზღვრული კოეფიციენტის გაზრდის მიზნით სპეციალური ნებართვის გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს 2006 წლის 7 ივნისის №06-06 ოქმისა და „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

1. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში უნივერსიტეტის ქუჩაზე (ფიზიკის ინსტიტუტსა და საბურთალოს ახალ პანთეონს შორის) ინდ. მენაშენეთა ამხანაგობა „ვაკეს“ მიერ კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის მშენებლობისათვის ნაკვეთი №5, №6 და №7-სათვის განაშენიანების (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) განსაზღვრული კოეფიციენტის გაზრდის მიზნით გაიცეს სპეციალური ნებართვა და განისაზღვროს კ1=0.7, კ2=1.7.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსს ნ. ჩხაიძეს.

ქ. თბილისის მერია
ურბანული დაგეგმარების
სამსახური
201955296
27.06.06

ბ. უგულავა